PDF Eraser Free

დანართი №2

შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯი

„ღონისძიების ორგანიზების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ალინა კუპრავა
წევრები:
მაკო ჯაოშვილი

(თბილისი, 2021 წელი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შპს

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

PDF Eraser Free

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 20 მაისის N465170 ბრძანების საფუძველზე, განხორციელდა შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულ კოლეჯში პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი „ „ღონისძიების ორგანიზების“ პროგრამის დამატების მიზნით ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით .

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განაცხადი, ასევე განხორციელდა დამატებითი დოკუმენტაციის გამოთხოვა. შედგენილი განრიგის შესაბამისად 2021 წლის 1 ივნისს განხორციელდა დისტანციური ჩართვით: ადმინისტრაციასთან გასაუბრება; საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვასა და შემუშავებაზე პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება; საგანმანთლებლო პროგრამის შეფასებასა და განვითარებაზე პასუხისმგებელ პირ(ებ)თან გასაუბრება; სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემაზე პასუხისმგებელ პირთან გასაუბრება; საგანამანთლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრება; პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება; ბიბლიოთეკის და საგანამანათლებლო რესურსის შემოწმება, პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება; გასაუბრება პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან;

ინტერვიურებისას გამოიკვეთა ზოგიერთი დოკუმენტის წარმოდგენის აუცილებლობა, შესაბამისად დაწესებულებამ, ცენტრის საშუალებით, მიაწოდა ექსპერტებს გარკვეული დოკუმენტები.

პროგრამის დამატების შესახებ დაწესებულების გადაწყვეტილების შესაბამისობის შესაფასებლად სტრატეგიული განვითარების გეგმასთან ერთად, ექსპერტებმა გამოითხოვეს დამატებითი დოკუმენტი. ექსპერტებს მოეწოდათ დაწესებულების 2020-21 წლის სამოქმედო გეგმა, რომელშიც ახალი პროგრამების დამატება და შესაბამისი ღონისძიებები ასახულია ერთ-ერთ აქტივობად. ამ კონტექსტში განხორციელდა გეგმის ანალიზიც. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის პირველი სტანდარტის 1.2 ქვესტანდარტის მესამე ინდიკატორის მოთხოვნაა: სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს, რაც დაწესებულების მიერ დამტკიცებულ სამოქმედო გეგმაში დარღვეულია, კერძოდ, რესურსების ნაწილში არ არის გაწერილი ის მატერიალური და ფინანსური რესურსები, რომელთა არსებობაც განაპირობებს აქტივობების შესრულებას. აღნიშნული ფაქტი ექსპერტების მიერ დასკვნაში დაფიქსირებულია ხარვეზად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დაწესებულებაში პროგრამის შეფასების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესაფასებლად, განხორციელდა ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან გასაუბრება და შესაბამისი დოკუმენტაციების ანალიზი. აღნიშნულ კოლეჯში გარდა „ღონისძიების ორგანიზების“ პროგრამის დამატებისა მიმდინარეობს „საოფისე საქმის“ და „პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგის“ პროგრამების დამატების საქმისწარმოება, ორი პროგრამის ხელმძღვანელის პოზიციაზე დანიშნულია პირი, რომელიც ამავდროულად არის კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ გარდა პროგრამის ხელმძღვანელობისა, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ამ ორი პროგრამის 12 მოდულის განმახორციელებელ პირად არის წარმოდგენილი. მეოთხე სტანდარტის, 4.1. პერსონალის და პროცესების მართვა - ქვესტანდარტის, მესამე ინდიკატორის მოთხოვნების გათვალისწინებით - ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერვე შესრულებული სამუშაოს შემოწმება და შეფასება ინტერესთა კონფლიქტს წარმოქმნის, რაც ეწინააღდმეგება ხარისხის უზრუნველყოფის ახალ კონცეფციას. აღნიშნული ფაქტი ექსპერტების მიერ დასკვნაში დაფიქსირებულია ხარვეზად (დეტალური ინფორმაცია იხ. 2.3.1 ინდიკატორის აღწერაში).

დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

არ დაფიქსირებულა

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

2.4.2.

1. დაწესებულებას დამტკიცებული აქვს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება, რომელშიც გაწერილია შეფასებასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები: აპელაციის წესი, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა და წესი, მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესი. განმეორებით შეფასებასთან დაკავშირებით განსაზღვრულია რა ვადებში ეძლევა სტუდენტს განმეორებით გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობა და რამდენჯერ,ხოლო სწავლის შედეგების შეფასების ვერიფიკაციის მექნიზმები მოიცავს ჩანაწერებს შეფასების ინსტრუმენტების შიდა მონიტორინგის მექანიზმების შესახებ,იმისათვის რომ შეფასების სისტემა აკმაყოფილებდეს ამ კრიტერიუმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, იყოს სანდო, ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური და სამართლიანი აღნიშნული რეგულაციები უნდა ფარავდეს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის პროცედურა, შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებული მოთხოვნები, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურები, შეფასების ადმინისტრირების საკითხები, რომელი ინსტრუმენტი გამოიყენება განმეორებითი შეფასების დროს. დაწესებულების წარმომადგენლებს ექსპერტების მიერ ეცნობათ აღნიშნული ფაქტი, მიეცათ რეკომენდაცია გაეწერათ სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა, რომელშიც აისახება ინფორმაცია კონკრეტული ინდიკატორის სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით შესასრულებელი სამუშაოს შესრულების ვადები, შემსრულებელი/პასუხისმგებელი პირები, რესურსებით უზრუნველყოფის საკითხი და სხვა. დაწესებულების წარმომადგენლები დაეთანხმნენ და გაითვალისწინეს ექსპერტთა რეკომენდაციები, ვიზიტის პერიოდში 2020 წლის 5 აგვისტოს დირექტორის N06/20 ბრძანებით დამტკიცდა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვით 2020 წლის 10 სექტემბრამდე უნდა განხორციელებულიყო შეფასების სისტემის მარეგულირებელ წესში ცვლილებები და დაზუსტებულიყო ზ/აღნიშნული პროცედურები, დოკუმენტის სრულყოფაზე პასუხისმგებელია ხარისხის მართვის სამსახური, პროგრამის ხელმძღვანელი და სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახური, ექსპერტთა მხრიდან ინდიკატორი შეფასდა მეტწილად - ექსპერტების მიერ გადამოწმდა საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება და ირკვევა, რომ გაცემული რეკომენდაციები არ არის სრულად შესრულებული, აღნიშნულ რეგულაციაში დაზუსტდა მხოლოდ ერთი ჩანაწერი განმეორებითი შეფასების დროს შეფასების ინსტრუმენტის ცვლილებასთან დაკავშირებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

პირველი სტანდარტი

1.2.

3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის პირველი სტანდარტის 1.2 ქვესტანდარტის მესამე ინდიკატორის მოთხოვნაა: სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს, რაც დაწესებულების მიერ დამტკიცებულ სამოქმედო გეგმაში დარღვეულია, კერძოდ რესურსების ნაწილში არ არის გაწერილი ის მატერიალური და ფინანსური რესურსები, რომელთა არსებობაც განაპირობებს აქტივობების შესრულებას.სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია დაწესებულებამ გადახედოს სამოქმედო გეგმას და განსაზღვროს განსახორციელებელი აქტივობების შესაბამისად საჭირო მატერიალური და ფინანსური რესურსები.

მეორე სტანდარტი

2.3.

1. დაწესებულებაში მიმდინარე ერთ-ერთი მთავარი პროცესი არის საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის მართვა, რომელიც თავის თავში აერთიანებს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების კომპონენტსაც, თუ ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერმა განახორციელა ცვლილებების ინიცირება და შემსრულებელი/პასუხისმგებელი პირიც თვითონ არის, ბუნდოვანია შპს საქართველოს უნივერსიტეტის შესაბამისი სამსახურის როლი და პასუხისმგებლობა აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, ამასთანავე მეოთხე სტანდარტის, 4.1. პერსონალის და პროცესების მართვა - ქვესტანდარტის, მესამე ინდიკატორის მოთხოვნების გათვალისწინებით - ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს მის მიერვე შესრულებული სამუშაოს შემოწმების და შეფასებისას ლოგიკურია, ინტერესთა კონფლიქტი ექმნება. ის ვერ იქნება ობიექტური შემფასებელი, რაც შეუსაბამობაში მოდის ხარისხის უზრუნველყოფის ახალი კონცეფციასთან. ინტერესთა კონფლიქტის გამო ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ობიექტურად ვერ შეასრულებს შეფასებას. ამასთანავე, შეფასების მექანიზმი და რეალური გარემოებები ერთმანეთთან წინააღმდეგობაშია, არ ითვალისწინებს უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან (ვინაიდან პროგრამის ხელმძღვანელი და მოდულების განმახორციელებელი პირი არის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი) საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ. აღნიშნულის გათვალისწინებით აუცილებელია დაწესებულებამ უზრუნველყოს ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვა.(დეტალური ინფორმაცია იხ. 2.3.1 ინდიკატორის აღწერაში).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.4.2.

1. იმისათვის რომ შეფასების სისტემა იყოს სანდო, ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური და სამართლიანი აღნიშნული რეგულაციები უნდა ფარავდეს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა: შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის პროცედურა, შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებული მოთხოვნები, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურები, შეფასების ადმინისტრირების საკითხები. სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია შეფასების სისტემის მარეგულირებელ წესებში გაიწეროს შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის პროცედურა, შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებული მოთხოვნები, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურები და შეფასების ადმინისტრირების საკითხები.

მეოთხე სტანდარტი

4.1.

3. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ თავისი შესრულებული სამუშაოს შემოწმება და შეფასება ინტერესთა კონფლიქტს წარმოქნის, რაც ეწინააღმდეგება ხარისხის უზრუნველყოფის ახალ კონცეფციას. (დეტალური ინფორმაცია იხ. 2.3.1 ინდიკატორის აღწერაში). აღნიშნულის გათვალისწინებით აუცილებელია დაწესებულებამ უზრუნველყოს მეოთხე სტანდარტის, 4.1 ქვესტანდარტის მესამე ინდიკატორის მოთხოვნების შესაბამისად ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვა.

VII. რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

2.1.1.

1. დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში შეაფასოს პროგრამის განსახორციელებლად მოთხოვნილი ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი. განსაზღვროს რა სახის შესაბამისობა გააჩნია და რა ნაწილშია საჭირო დამატებითი ინვესტირება. ასევე,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

გასათვალისწინებელია განმახორციელებელი პერსონალის, კერძოდ, პროგრამის ხელმძღვანელის და პროფესიული მასწავლებლების მოზიდვისა და მათი შემდგომი გადამზადების აუცილებლობა.
დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია გადახედოს სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმას, რათა დააზუსტოს შემდეგი დეტალები: იდენტიფიცირებული არასრული შესაბამისობის აღწერა, სტანდარტისა და კომპონენტის ნომერი, შემსრულებელი, ფინანსური და მატერიალური რესურსები.

2. დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში განახორციელოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში შესაბამისი ცვლილებები და დაშვების წინაპირობად განსაზღვროს მხოლოდ სრული ზოგადი განათლება.
დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია გადახედოს სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმას, დააზუსტოს შემდეგი დეტალები: იდენტიფიცირებული არასრული შესაბამობის აღწერა, სტანდარტისა და კომპონენტის ნომერი, შემსრულებელი, ასევე განსაზღვროს ფინანსური და მატერიალური რესურსები.

4. სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში დააზუსტოს უცხო ენის (ინგლისური) მოდულში სასწავლო რესურსები.
დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია გადახედოს სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმას, დააზუსტოს შემდეგი დეტალები: იდენტიფიცირებული არასრული შესაბამობის აღწერა, სტანდარტისა და კომპონენტის ნომერი, შემსრულებელი, ასევე განსაზღვროს ფინანსური და მატერიალური რესურსები.

8. სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში განახორციელოს პროგრამებში შესაბამისი ცვლილებები და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირებისთვის იმგვარი მექანიზმის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს ტექნიკური ხასიათის შეცდომების და ჩანაწერებში უზუსტობების პრევენციას. პროგრამის ადაპტირებისას რეკომენდებულია ცენტრის გზამკვლევების გამოყენება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია გადახედოს სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმას, დააზუსტოს შემდეგი დეტალები: ინდენტიფიცირებული არასრული შესაბამობის აღწერა, სტანდარტისა და კომპონენტის ნომერი, შემსრულებელი, ასევე განსაზღვროს ფინანსური და მატერიალური რესურსები.

2.2.2

1. სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული პროექტი - სადღესასწაულო ღონისძიებების ადმინისტრირება სწავლის შედეგების გათვალისწინებით („ქორწილების დაგეგმა“) უზრუნველყოს შესაბამისი თანამშრომლობის მემორანდუმის/ხელშეკრულების გაფორმება.

დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია გადახედოს სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმას, დააზუსტოს შემდეგი დეტალები: იდენტიფიცირებული არასრული შესაბამობის აღწერა, სტანდარტისა და კომპონენტის ნომერი, შემსრულებელი, ასევე განსაზღვროს ფინანსური და მატერიალური რესურსები.

2. სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში უზრუნველყოს პროგრამის „ღონისძიების ორგანიზება“ განხორციელების მდგრადობისთვის დარგობრივი კომპეტენციის მასწავლებლების მოძიება და შერჩევა.

დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია გადახედოს სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმას, დააზუსტოს შემდეგი დეტალები: იდენტიფიცირებული არასრული შესაბამისობის აღწერა, სტანდარტისა და კომპონენტის ნომერი, შემსრულებელი, ასევე განსაზღვროს ფინანსური და მატერიალური რესურსები.

3. სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით რეკომენდებულია შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში განახორციელოს პროფესიული განათლების მასწავლებლების გადამზადება პროფესიული განათლების სპეციფიკის გათვალისწინებით, სწავლების და შეფასების კომპეტენციის განვითარებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია გადახედოს სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმას, დააზუსტოს შემდეგი კომპონენტები: იდენტიფიცირებული არასრული შესაბამობის აღწერა, სტანდარტისა და კომპონენტის ნომერი, დადასტურების წყარო, ასევე განსაზღვროს ფინანსური და მატერიალური რესურსები.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

2.1.1

3. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიაში არის ჩანაწერი: 20 პროფესიულ სტუდენტზე მინიმუმ 1 მასწავლებლის არსებობის შესახებ, თუმცა აღნიშნული ჩანაწერი არანაირ როლს არ თამაშობს კონტიგენტის განსაზღვრის სქემაში, აღნიშნულ მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით შემდგომი განვითარების მიზნით რეკომენდებულია კოლეჯმა განიხილოს არსებული ჩანაწერის საჭიროება.

2.2.

2. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ახორციელებს აღნიშნული პროგრამის 7 მოდულს, ადმინისტრაციის წარმომადგენელს, სათანადო კვალიფიკაციის არსებობის შემთხვევაში აქვს სასწავლო პროცესის განხორციელების უფლებაც, სასწავლო დატვირთვის შესაძლო მოცულობა უნდა იყოს განსაზღვრული დაწესებულების მარეგულირებელი დოკუმენტებით. მაგ: შესაძლოა, გაწერილი იყოს შინაგანაწესში, რომ ადმინისტრაციული პოზიციის პარალელურად შეუძლია კვირაში გარკვეული საათის გამოყენება სასწავლო დატვირთვისთვის(საქართველოს შრომის კოდექსით განსაზღვრულ საათებში). დაწესებულებას ეძლევა შემდგომი განვითარების მიზნით ზ/აღნიშნული საკითხი გაწეროს რეგულაციაში.

3. დაწესებულლებას ეძლევა განვითარების მიზნით შემდეგი რეკომენდაცია: ღონისძიების ფინანსური მართვა, ღონისძიების ტექნიკური მომსახურება და უსაფრთხოება, ღონისძიების გაფორმება და დიზაინი -მოდულების განხორციელების მიზნით სასურველია დარგში პრაქტიკული გამოცდილების მქონე პირი იყოს ჩართული.

2.4.2

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2. შემდგომი გაუმჯობესების მიზნით დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია გადახედოს ვერიფიკაციის მექანიზმს და უფრო დეტალურად გაწეროს შემდეგი საკითხები: ვერიფიკაციის პროცესის აღწერა, დასკვნის განხილვის და დაინტერესებული პირების ინფორმირების გზები, სამოქმედო გეგმის შედგენის და შემდეგი რეაგირების მექანიზმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VII. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	ღონისძიების ორგანიზება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ღონისძიების ორგანიზებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0413
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	პროგრამა დამტკიცებულია 2021 წლის 5 აპრილის N07/21 ოქმით
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	მისამართი: თბილისი, ჯანო ბაგრატიონის ქ. N6
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	15 , მოდულური მიდგომით მისამართი: თბილისი, ჯანო ბაგრატიონის ქ. N6

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	61
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	91

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☐	☐	☒
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	**არ შეესაბამება**
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	**არ შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;**

კოლეჯის მისიაა ადგილობრივ და საერთაშორისო დასაქმების ბაზარზე მოთხოვნად პროფესიებში კონკურენტუნარიანი პროფესიონალების მომზადება, პროფესიული სტუდენტის აღჭურვა თეორიულ-პრაქტიკული ცოდნით და უნარებით, რაც ხელს შეუწყობს მის დასაქმებას და თვითრეალიზაციას. პროგრამის დამატების შესახებ დაწესებულების გადაწყვეტილების შესაბამისობის შესაფასებლად სტრატეგიული განვითარების გეგმასთან, ექსპერტების მიერ განხორციელდა დამატებითი დოკუმენტის სტრატეგიული განვითარების დოკუმენტის გამოთხოვა, ექსპერტებს მოეწოდათ დაწესებულების 2020-21 წლის სამოქმედო გეგმა, რომელშიც ახალი პროგრამების დამატება და შესაბამისი ღონისძიებები ასახულია ერთ-ერთ აქტივობად. ამ კონტექსტში განხორციელდა გეგმის ანალიზიც. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის პირველი სტანდარტის 1.2 ქვესტანდარტის მესამე ინდიკატორის მოთხოვნაა: სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს, რაც დაწესებულების მიერ დამტკიცებულ სამოქმედო გეგმაში დარღვეულია, კერძოდ რესურსების ნაწილში არ არის გაწერილი ის მატერიალური და ფინანსური რესურსები, რომელთა არსებობაც განაპირობებს აქტივობების შესრულებას. სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია დაწესებულებამ გადახედოს სამოქმედო გეგმას და განსაზღვროს განსახორციელებელი აქტივობების შესაბამისად საჭირო მატერიალური და ფინანსური რესურსები.

საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯი საქართველოს უნივერსიტეტის მიერაა დაფუძნებული, რომელიც დღეს რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე დიდი კერძო უნივერსიტეტია, რომელსაც გააჩნია 6 სკოლა და რამოდენიმე ათეული დეპარტამენტი ან/და სამსახური. საქართველოს უნივერსიტეტიდან მოხდა საკითხის ინიცირება, რომელსაც დაუდგა საჭიროება რომ მოახდინოს ღონისძიების ორგანიზების მიმართულებით პროფესიული კადრების მომზადება. ასევე შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის ინიცირებით მოხდა სხვა ორაგნიზაციების გამოკითხვა, როგორცაა UG სკოლა, UG ბაღი და UG ლიმესი. კომპანიების განცხადებით აღნიშნული მიმართულებით მოთხოვნა ყოველწლიურად იზრდება და შესაბამისად კადრების სერიოზული დეფეიციტია ბაზარზე, სტუდენტების დიდი ნაწილი ელოდება სწავლის დასრულებას და შემდეგ იწყებს სამუშაოს ძიებას, პროფესიული სწავლებით ამ მიმართულებით გადამზადებული პირი იქნება სრულად კვალიფიციური და ექნება შესაბამისი ცოდნა. გასათვალიწინებელია ის ფაქტიც,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

რომ აღნიშნულ სფეროზე მოთხოვნა ყოველწლიურად უფრო და უფრო იზრდება. გამოკითხულებმა განაცხადა, რომ მათ ჭირდებათ აღნიშნული მიმართულების კადრი და ისინი მზად არიან მოახდინონ კურსდამთავრებულთა დასაქმება.

დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების თანახმად: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შექმნა და შემუშავება ხორციელდება პროგრამის ხელმძღვანელი პირის მიერ პროფესიული განათლების მასწავლებლებების ჩართულობით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება ხორციელდება დამსაქმებელთა მოთხოვნისა და ბაზრის კვლევის საფუძველზე. შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა წარედგინება ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს, რომელიც განიხილავს შესაბამის პროგრამას. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი უფლებამოსილია პროგრამის განხილვაში ჩართოს შესაბამისი დარგის ექსპერტები. ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში ვალდებულია განხილვაში ჩართოს გარე ექსპერტები. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ამოწმებს პროგრამის შესაბამისობას დადგენილ მოთხოვნებთან და ხარვეზის არსებობის შემთხვევაში, უბრუნებს წარმდგენს, რომელიც იზიარებს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მოსაზრებას და ასწორებს ხარვეზს ან ერთობლივი ჩართულობით ხდება ხარვეზის აღმოფხვრა. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე გაცემული დადებითი დასკვნის შემთხვევაში, პროექტი წარედგინება აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზით და გასაუბრების შედეგებით ექსპერტთა მოსაზრებით დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ შეესაბამება მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას, მაგრამ არ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას. სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, რეკომენდებულია, დაგეგმვისას დაწესებულებამ შეაფასოს პროგრამის განსახორციელებლად მოთხოვნილი ადამიანური და მატერიალური, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსები. განსაზღვროს რა სახის შესაბამისობა გააჩნია და რა ნაწილშია საჭირო დამატებითი ინვესტირება. ასევე, გასათვალისწინებელია განმახორციელებელი პერსონალის, კერძოდ, პროგრამის ხელმძღვანელის და პროფესიული მასწავლებლების მოზიდვისა და მათი შემდგომი გადამზადების აუცილებლობა. დაწესებულებამ დისტანციური ჩართვის შემდეგ წარმოადგინა აკადემიური საბჭოს მიერ 2021 წლის 4 ივნისის N11/21 ოქმით დამტკიცებული სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც ზ/აღნიშნული ნაწილის სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის ვადად განსაზღვრულია არაუგვიანეს 2021 წლის 2 აგვისტო. დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია გადახედოს სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმას, რათა დააზუსტოს შემდეგი დეტალები: იდენტიფიცირებული არასრული შესაბამისობის აღწერა, სტანდარტისა და კომპონენტის ნომერი, შემსრულებელი, ფინანსური და მატერიალური რესურსები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2. **საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;**

დაწესებულებას დამტკიცებული აქვს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება, რომელიც განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების პროცედურას. დამტკიცებულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა: სრული ზოგადი განათლება, საბაზო ზოგადი განათლება - იმ შემთხვევაში, თუ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს არაინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, შესაბამისად დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით რეკომენდაცია განახორციელოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში შესაბამისი ცვლილებები და დაშვების წინაპირობად განსაზღვროს მხოლოდ სრული ზოგადი განათლება.

დაწესებულებამ დისტანციური ჩართვის შემდეგ წარმოადგინა აკადემიური საბჭოს მიერ 2021 წლის 4 ივნისის N11/21 ოქმით დამტკიცებული სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, გეგმით გათვალისწინებულია ზ/აღნიშნული ნაწილის სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანა არაუგვიანეს 2021 წლის 2 აგვისტოს.

დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია გადახედოს სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმას, დააზუსტოს შემდეგი დეტალები: იდენტიფიცირებული არასრული შესაბამისობის აღწერა, სტანდარტისა და კომპონენტის ნომერი, შემსრულებელი, ასევე განსაზღვროს ფინანსური და მატერიალური რესურსები.

3. **პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;**

კოლეჯს დამტკიცებული აქვს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია რაც ითვალისწინებს: მოდულის განხორციელებისათვის საჭირო სასწავლო (A,B და C) გარემო შესაძლებლობებს; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობას; საწარმოო პრაქტიკის ობიექტების რესურსებს; მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობას. ერთ ჯგუფში პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვრება სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობის შესაბამისად. წარმოდგენილი დოკუმენტის ანალიზით დასტურდება, რომ კოლეჯი პროგრამისთვის პროფესიულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით; აღნიშნულ მეთოდოლოგიაში ასევე არსებობს ჩანაწერი: **20 პროფესიულ სტუდენტზე მინიმუმ 1 მასწავლებლის არსებობის შესახებ, თუმცა აღნიშნული ჩანაწერი არანაირ როლს არ თამაშობს კონტიგენტის განსაზღვრის სქემაში, აღნიშნულ მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით შემდგომი განვითარების მიზნით რეკომენდებულია კოლეჯმა განიხილოს არსებული ჩანაწერის საჭიროება.**

4. **საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;**

დაწესებულების მიერ ღონისძიების ორგანიზების პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსები უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას; რაც შეეხება საგანმანათლებლო რესურსებს, პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილ უცხო ენის მოდულის სასწავლო რესურსებში მითითებულია -„მიეთითება ენის შესაბამისად“, დაწესებულების ხარისხის მენეჯერმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ რესურსების დაკონკრეტება განხორციელდება ჯგუფის დაკომპლექტების შემდეგ, მათი საჭიროებების შესაბამისად სასწავლო პროცესის დაწყებამდე, უნდა აღინიშნოს, რომ მოდულის სწავლის შედეგების გათვალისწინებით, განმახორციელებელ პირს მოდულის ადაპტირებისას თავისუფლად შეუძლია ენის დონის შესაბამისი რესურსების განსაზღვრა, შესაბამისად საგანმანათლებლო რესურსი ვერ უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია, დააზუსტოს უცხოური ენის(ინგლისურის) მოდულში სასწავლო რესურსები და განახორციელოს ცვლილებები შესაბამის დანართში.

დაწესებულებამ დისტანციური ჩართვის შემდეგ წარმოადგინა აკადემიური საბჭოს მიერ 2021 წლის 4 ივნისის N11/21 ოქმით დამტკიცებული სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, გეგმით გათვალისწინებულია ზ/აღნიშნული ნაწილის სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანა არაუგვიანეს 2021 წლის 2 აგვისტოს.

დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია გადახედოს სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმას, დააზუსტოს შემდეგი დეტალები: ინდენტიფიცირებული არასრული შესაბამობის აღწერა, სტანდარტისა და კომპონენტის ნომერი, შემსრულებელი, ასევე განსაზღვროს ფინანსური და მატერიალური რესურსები.

5. **საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დამტკიცებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებული არ არის არჩევითი მოდული.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების თანახმად პროგრამის პროექტს ამტკიცებს კოლეჯის აკადემიური საბჭო, შესაბამისად აღნიშნული პროგრამა დამტკიცებულია უფლებამოსილი ორგანოს, კერძოდ აკადემიური საბჭოს 2021 წლის 5 აპრილის N 07/21 ოქმით.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "ღონისძიების ორგანიზება" სახელწოდება სრულ შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან, ასრულებს პროგრამის იდენტიფიკატორის ფუნქციას, შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ღონისძიების ორგანიზების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძველია ჩარჩო დოკუმენტი „საოფისე საქმე და ღონისძიების ორგანიზება" სარეგისტრაციო ნომრით: 04119-პ. დამტკიცებული პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, სწავლების დაწესებულების მიერ წარმოგენილ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამის პროგრამის პაკეტი მოიცავს: პროგრამის ძირითად დოკუმენტს, მოდულებს, სასწავლო გეგმას, ინფორმაციას პროგრამის მატერიალური და ადამიანური რესურსების შესახებ. მოდულების ბლოკში, ასევე გათვალისწინებულია ქართული ენის მოდულები - „ქართული ენა A2" და „ქართული ენა B1" აღნიშნული სასწავლო გეგმა, გათვალისწინებულია არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის.

დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების თანახმად: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შექმნა და შემუშავება ხორციელდება პროგრამის ხელმძღვანელი პირის მიერ პროფესიული განათლების მასწავლებლების ჩართულობით. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში ხდება ჩარჩო დოკუმენტის და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

მოდულების ადაპტირება. კოლეჯის მიერ წარმოდგენილი პროგრამის პაკეტში არცერთი მოდული არ არის ადაპტირებული, ყველა მოიცავს სარეკომენდაციო ხასიათის ჩანაწერებს მაგ. რეკომენდაციები სწავლებისა და შეფასების ორგანიზებისთვის, დამატებითი რეკომენდაციები მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებით (საჭიროების შემთხვევაში) საათების განაწილების სარეკომენდაციო სქემა და ა.შ. პროგრამის დანართში, რომელშიც განსაზღვრულია მატერიალური რესურსების ჩამონათვალი, ტექნიკური მახასიათებლის გრაფაში მითითებულია ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული მინიმალური ტექნიკური მახასიათებელი, პროგრამის მიზანში ჩარჩო დოკუმენტის მიზნის ფორმულირებითაა წარმოდგენილი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა მოიცავს ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე დაშვების წინაპირობასაც, თუმცა დაწესებულებას მხოლოდ არაინტეგრირებული პროგრამის პაკეტი აქვს წარმოდგენილი, ასევე მოდულების განხორციელების დამატებით პირობებში განსაზღვრული დებულებების კორექტირება უნდა უზრუნველყოს დაწესებულებამ და ჩაწეროს თავისი მიდგომები.

სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირებისთვის იმგვარი მექანიზმის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს ტექნიკური ხასიათის შეცდომების და ჩანაწერებში უზუსტობების პრევენციას. რეკომენდებულია ცენტრის გზამკვლევების გამოყენება პროგრამის ადაპტირებისას. გადახედოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანს, დაშვების წინაპირობას, რეკომენდებულია დაზუსტდეს მოდულის დასახელება უცხო ენა - პროგრამის ძირითად დოკუმენტში,სასწავლო გეგმაში(გასაუბრებით და მასწავლებელთან გაფორმებული ხელშეკრულებით გაირკვა, რომ უცხოური ენის მოდული წარმოადგენს ინგლისურ ენას). განხორციელდეს მოდულების ადაპტირება და უზრუნველყოს კოლეჯმა თავისი მიდგომების და შესაძლებლობების ასახვა, დაზუსტდეს რესურსები და ტექნიკური მახასიათებლები.

დაწესებულებამ დისტანციური ჩართვის შემდეგ წარმოადგინა აკადემიური საბჭოს მიერ 2021 წლის 4 ივნისის N11/21 ოქმით დამტკიცებული სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, გეგმით გათვალისწინებულია ზ/აღნიშნული ნაწილის სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანა არაუგვიანეს 2021 წლის 2 აგვისტოს.

დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია გადახედოს სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმას, დააზუსტოს შემდეგი დეტალები: ინდენტიფიცირებული არასრული შესაბამობის აღწერა, სტანდარტისა და კომპონენტის ნომერი, შემსრულებელი, ასევე განსაზღვროს ფინანსური და მატერიალური რესურსები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის მისია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- 2020-21 წწ. სამოქმედო გეგმა;
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- შრომის ბაზრის კვლევა;
- დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამა (ძირითადი დოკუმენტი, მოდულები, სასწავლო გეგმა მოდულების წინაპირობების და პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით);
- აკადემიური საბჭოს ოქმი პროგრამის დამტკიცებაზე;
- აკადემიური საბჭოს 2021 წლის 3 ივლისის 10/21 ოქმით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა(ცვლილებები განხორციელებულია 2021 წლის 4 ივლისის N11/21 ოქმით);
- „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ ;
- საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება;
- დათვალიერების შედეგები;
- ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

პროგრამის „ღონისძიების ორგანიზება“ განხორციელების მიზნით კოლეჯში გამოყოფილია ორი აუდიტორია, თითოეულ სასწავლო აუდიტორიაში განთავსებულია 15 პროფესიული სტუდენტისთვის სამუშაო ადგილი/სკამი, პროფესიული სტუდენტისათვის კომპიუტერები სულ 15 ც და 1 ც პროფესიული განათლების მასწავლებელისათვის, ასევე პროექტორი და პროგრამით გათვალისწინებული სხვა მატერიალური რესურსები. კოლეჯმა წარმოდგინა საქართველოს უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმი, რომლითაც განხორციელდა პროგრამის შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გადაცემა სასწავლო მიზნებისათვის უვადოდ. რაც შეეხება პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული პროექტის მოდულების განხორციელებას, დაწესებულებამ წარმოადგინა მემონარდუმი შპს საქართველოს უნივერსიტეტთან გაფორმებული, დაწესებულების და უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ორი მოდულის სწავლის შედეგების სრულად მიღწევას თავის ბაზაზე (პრაქტიკული პროექტი - სპორტულ/სანახაობრივი ღონისძიებების დაგეგმვა, პრაქტიკული პროექტი - ოფიციალური/საქმიანი შეხვედრების ადმინისტრირება) და ერთი მოდულის სწავლის შედეგების ნაწილობრივ მიღწევას (პრაქტიკული პროექტი - სადღესასწაულო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ღონისძიებების ადმინისტრირება), აღნიშნული მოდულის სწავლის შედეგების გათვალისწინებით, ღონისძიების ერთ -ერთ სახეს წარმოადგენს „ქორწილების დაგეგმა“, დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ მიმდინარეობს შესაბამის დარგობრივ ორგანიზაციასთან მოლაპარაკება და განხორციელდება შესაბამისი მემორანდუმის გაფორმება.

დაწესებულებამ დისტანციური ჩართვის შემდეგ წარმოადგინა აკადემიური საბჭოს მიერ 2021 წლის 4 ივნისის N11/21 ოქმით დამტკიცებული სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, გეგმით გათვალისწინებულია ზ/აღნიშნული ნაწილის სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანა არაუგვიანეს 2021 წლის 1 აგვისტოს.

დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია გადახედოს სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმას, დააზუსტოს შემდეგი დეტალები: იდენტიფიცირებული არასრული შესაბამობის აღწერა, სტანდარტისა და კომპონენტის ნომერი, შემსრულებელი, ასევე განსაზღვროს ფინანსური და მატერიალური რესურსები.

2. **პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;**

დაწესებულებას შრომითი ხელშეკრულება გაფორმებული აქვს 9 პროფესიული განათლების მასწავლებელთან, მათ შორის 4 ზოგადი მოდულების და 5 დარგის განმახორციელებელთან, მასწავლებელთა პირადი საქმეების გადამოწმების საფუძველზე, გამოიკვეთა, რომ მათთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები მოიცავს საქართველოს შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებულ არსებით პირობებს. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ახორციელებს აღნიშნული პროგრამის 7 მოდულს, ადმინისტრაციის წარმომადგენელს, სათანადო კვალიფიკაციის არსებობის შემთხვევაში აქვს სასწავლო პროცესის განხორციელების უფლებაც, სასწავლო დატვირთვის შესაძლო მოცულობა უნდა იყოს განსაზღვრული და დარეგულირებული დაწესებულების მარეგულირებელი დოკუმენტებით. მაგ: შესაძლოა, გაწერილი იყოს შინაგანაწესში, რომ ადმინისტრაციული პოზიციის პარალელურად შეუძლია კვირაში გარკვეული საათის გამოყენება სასწავლო დატვირთვისთვის. დაწესებულებას ეძლევა შემდგომი განვითარების მიზნით ზ/აღნიშნული საკითხი გაწეროს რეგულაციაში. დანარჩენი მოდულები განაწილებულია სხვა პროფესიული განათლების მასწავლებლებზე. პროგრამის „ღონისძიების ორგანიზება“ განმახორციელებელი პირების - პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა არ უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, პროგრამით განსაზღვრულ სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დაწესებულებამ დისტანციური ჩართვის შემდეგ წარმოადგინა აკადემიური საბჭოს მიერ 2021 წლის 4 ივნისის N11/21 ოქმით დამტკიცებული სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, გეგმით გათვალისწინებულია ზ/აღნიშნული ნაწილის (დარგის პროფესიული განათლების მასწავლებლის მოძიება-შერჩევა) სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანა არაუგვიანეს 2021 წლის 2 აგვისტოს.

დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია გადახედოს სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმას, დააზუსტოს შემდეგი დეტალები: იდენტიფიცირებული არასრული შესაბამისობის აღწერა, სტანდარტისა და კომპონენტის ნომერი, შემსრულებელი, ასევე განსაზღვროს ფინანსური და მატერიალური რესურსები.

3. **პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;**

პროფესიული განათლების მასწავლებლების საკვალიფიკაციო მოთხოვნები რეგულირდება კოლეჯში არსებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების წესით. ექსპერტებს მოეწოდათ განმახორციელებელი პირების პირადი საქმეები, მასწავლებელთა კვალიფიკაცია თანხვედრაშია დაწესებულების რეგულაციებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. დაწესებულებას ეძლევა განვითარების მიზნით შემდეგი რეკომენდაცია: ღონისძიების ფინანსური მართვა, ღონისძიების ტექნიკური მომსახურება და უსაფრთხოება, ღონისძიების გაფორმება და დიზაინი - მოდულების განხორციელების მიზნით სასურველია დარგში პრაქტიკული გამოცდილების მქონე პირის ჩართვა. ამასთანავე, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მასწავლებლები იცნობენ პროგრამას, თუმცა მოდულის განხორციელების სპეციფიკის და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების საკითხებში არ აქვთ სრულყოფილი ინფორმაცია, დაწესებულებამ წარმოადგინა ტრენერთან გაფორმებული ხელშეკრულება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს პროფესიული განათლების მასწავლებლების გადამზადება. ამის გათვალისწინებით **სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით რეკომედებულია განახორციელოს პროფესიული განათლების მასწავლებლების გადამზადება პროფესიული განათლების სპეციფიკის გათვალისწინებით, სწავლების და შეფასების კომპეტენციის განვითარებისათვის.**

დაწესებულებამ დისტანციური ჩართვის შემდეგ წარმოადგინა აკადემიური საბჭოს მიერ 2021 წლის 4 ივნისის N11/21 ოქმით დამტკიცებული სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, გეგმით გათვალისწინებულია ზ/აღნიშნული ნაწილების სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანა არაუგვიანეს 2021 წლის 1 სექტემბერს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია გადახედოს სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმას, დააზუსტოს შემდეგი დეტალები: იდენტიფიცირებული არასრული შესაბამობის აღწერა, სტანდარტისა და კომპონენტის ნომერი, დადასტურების წყარო, ასევე განსაზღვროს ფინანსური და მატერიალური რესურსები.

4. **საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;**

საგანმანათლებლო პროგრამას „ღონისძიების ორგანიზება“ ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის განვითარებისთვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება. განხორციელდა პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრება, რომელმაც გამოთქვა მზაობა კოორდინაცია გაუწიოს პროგრამის განხორციელებას, საჭიროების შემთხვევაში იზრუნოს პროგრამის განვითარებაზე. დაწესებულების მიერ დამტკიცებული პერსონალის დებულების თანახმად, პროგრამის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობაა: შეიმუშავოს პროფესიული პროგრამა, განახორციელოს ცვლილება შესაბამის პროგრამაში ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად, დირექტორთან შეთანხმებით განსაზღვროს განმახორციელებელი პირები, აწარმოოს პროგრამის განმახორციელებელ პირებთან კონსულტაცია სასწავლო გეგმის შესახებ, ჩართული იყოს ფორმალური განათლების აღიარების პროცესში, განახორციელოს პროფესიულ სტუდენტთა კონსულტაცია საჭიროების შემთხვევაში, მონაწილეობა მიიღოს შეფასების ინსტრუმენტის მომზადებაში, მონაწილეობა მიიღოს ვალიდაციის პროცესში, ინიცირება წარადგინოს კოლეჯის დირექტორთან, როგორც პროფესიული მასწავლებლების, ისე საკუთარი პროფესიული განვითარების საკითხებზე, მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა პროფესიული კოლეჯის მართვის ორგანოების მუშაობაში.

5. **საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;**

კოლეჯში არსებობს ელექტრონული და მატერიალური სახის სასწავლო რესურსები, რომლებიც ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში; კოლეჯში არსებობს ბიბლიოთეკის დებულება, რომელიც არეგულირებს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებს. დაწესებულებას აქვს სპეციალური ელექტრონული სისტემა, რომელიც მიბმულია ოფიციალურ ვებ გვერდზე. სისტემაში დარეგისტრირებულია პერსონალი, რომელსაც შეუძლია ბაზაში ატვირთული ელექტრონული ლიტერატურით სარგებლობა. ბიბლიოთეკართან გასაუბრებით დადგინდა, რომ პროფესიული სტუდენტების მიღების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შემთხვევაში იგეგმება მათი რეგისტრირება ამ ბაზებში, შესაბამისად ელექტრონული სასწავლო რესურსებით შეეძლებათ შეუზღუდავად სარგებლობა. საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის მიხედვით.

6. **სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;**

კოლეჯში არსებობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის წესი, რომელიც გამოიყენება სსსმ პირების უწყვეტი განათლების განხორციელებისათვის, ასევე კოლეჯი სრულადაა ადაპტირებული სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნებთან. მათ წვდომა აქვთ ყველა სასწავლო რესურსთან რომელიც საჭიროა პროგრამის განხორციელებისათვის. წესის თანახმად, უნდა მოხდეს ზუსტი განსაზღვრა თუ რა ტიპის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უნდა შეიქმნას და რა ტიპის რესურსებია საჭირო იმისათვის, რომ პროფესიულმა სტუდენტმა მიაღწიოს სასწავლო შედეგს. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს სასწავლო გეგმის შემუშავებაში, ხოლო არასრულწლოვანი/მხარდაჭერის მიმღები პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში შესაძლოა ჩართულ იქნას მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი.აღნიშნულიდან გამომდინარე სსსმ პირებს წვდომა ექნებათ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებული იქნება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დაწესებულებას გაწერილი აქვს პროგრამის „ღონისძიების ორგანიზება“ ბიუჯეტი, რომელშიც დაფიქსირებულია შესაძლო შემოსავალი და ხარჯი რომელიც შეიძლება ქონდეს პროგრამას. კოლეჯის შემოსავალია სტუდენტის სწავლის საფასური და საქართველოს უნივერსიტეტის დონაცია, შემოსავლებიდან გარკვეული ნაწილი ხმარდება მასწავლებლების საათობრივ ანაზღაურებას, ადმინისტრაციის ხელფასს, გადასახადებს, სამეურნეო და საოფისე ხარჯებს, ასევე ბიუჯეტში გათვალისწინებულია პერსონალის კარიერული გადამზადება და სხვა. დაწესებულებას შემოსავალი და ხარჯი დათვლილი აქვს 15 პროფესიული სტუდენტის სწავლის გადასახადის გათვალისწინებით, ექსპერტების მხრიდან დაისვა შეკითხვა რენტაბელური ზღვარის დაზუსტების მიზნით, დაწესებულების დირექტორმა აღნიშნა, რომ კოლეჯში 15 სტუდენტზე ნაკლების მიღების შემთხვევაშიც უზრუნველყოფილი იქნება ფინანსური რესურსით პროგრამის განხორციელება და ამის დასტურად წარმოადგინა საქართველოს უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმი, რომლის თანახმად უნივერსიტეტი იღებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ვალდებულებას კოლეჯის პროგრამების სრულყოფილად განხორციელების მიზნით, შესაბამისი დასაბუთების წარდგენის შემთხვევაში განახორციელებს დაფინანსება. შესაბამისად, დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულების მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ, პირადი საქმეები,ხელშეკრულებები;
- დაწესებულების მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ, ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსების შეფასების შედეგები;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების გადამზადების მიზნით ტრენერთან გაფორმებული ხელშეკრულება.
- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად;
- შპს საქართველოს უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმი ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით;
- მაცნესთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- პროგრამის განმახორციელებლებთან ინტერვიუს შედეგები.
- საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება;
- პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული მემორანდუმი;
- აკადემიური საბჭოს 2021 წლის 3 ივლისის 10/21 ოქმით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა(ცვლილებები განხორციელებულია 2021 წლის 4 ივლისის N11/21 ოქმით);
- დათვალიერების შედეგები;
- ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.**

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ხელმძღვანელობს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, დაწესებულების მარეგულირებელი დებულების თანახმად, მისი ფუნქციებია: კოლეჯის საქმიანობის სტანდარტების დადგენა, შესრულების ხარისხის გაზომვა და მონიტორინგი; ასევე, სწავლების ხარისხის მაღალ დონის უზრუნველყოფა სწავლის, სწავლებისა და შეფასების სტანდარტების დადგენისა და თანამედროვე მეთოდების დანერგვის გზით. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი უზრუნველყოფს სხვადასხვა ხასიათის ღონისძიებების განხორციელებას სასწავლო მუშაობის ხარისხის სისტემური სრულყოფისათვის, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკისა და პროცედურების შემუშავებას, სტუდენტთა სასწავლო პროცესისთვის საჭირო დოკუმენტების (კითხვარების, დანართების და სხვ.) შემუშავებას, დადგენილი სტანდარტების შესაბამისად შესაბამისი პოლიტიკისა და კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამების, პერსონალისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შეფასების პროცედურების შემუშავებას, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შეფასების შედეგად რეკომენდაციებისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავებას საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი სრულყოფის მიზნით. დაწესებულებას ასევე დამტკიცებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, წინამდებარე დოკუმენტში ასახული ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები განსაზღვრავს კოლეჯის საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებას. ხარისხის განვითარებისა და უზრუნველსაყოფად გამოიყენება „დაგეგმა-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“(PDCA) ციკლის მიდგომა, რომლის მიხედვითაც ხდება გეგმის დასახვა საქმიანობის განსახორციელებლად, საქმიანობის შესამოწმებელი/შესაფასებელი ასპექტების განსაზღვრა. წინამდებარე დოკუმენტის მიზანია არსებულ სტანდარტებთან შესაბამისობის მიღწევა/დადგენა, საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის უზრრუნველყოფის, საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფის და სწორი გადაწყვეტილების მიღება/ განხორციელება.

დაგეგმვა - აღნიშნული ნაწილის უზრუნველსაყოფად განისაზღვრება კოლეჯის საქმიანობის ასპექტები და კოლეჯის სტრუქტურული ერთეულების ჩართვის თანმიმდევრობა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში. აღნიშნულ ეტაპზე ხდება სამოქმედო გეგმის შემუშავება, პერსონალის შეფასების ინდიკატორებისა და კრიტერიუმების შემუშავება. სამუშაოთა გრაფიკის შემუშავება და მათი გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის.

განახორციელე - სტუდენტთა მიღება და მათი სასწავლო პროცესში ჩართვასთან დაკავშირებული რეგულაციების სრულყოფა, სტატუსთან დაკავშირებული საკითხები, სტუდენტთა განათლების უზრუნველყოფის მექანიზმები, სტუდენტთა გზამკვლევის შემუშავება.

სწავლა/სწავლების პროცესის ხარისხის მონიტორინგის სისტემის შექმნა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, მოდულით განსაზღვრული ინტრუმენტების კონტროლი.

შემუშავებული გეგმის განხორციელების მიზნით ხდება შემდეგი აქტივობების განხორციელება:

სასწავლო წლის განმავლობაში სასწავლო პროცესის და საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგი:

- სასწავლო პროცესის ადმინისტრირების შემოწმება ხორციელდება პერიოდულად.
- სტუდენტების გამოკითხვა ხორციელდება წლის ბოლოს და ასევე ყოველი მოდულის დასრულების შემდეგ.
- გარე ექსპერტის მოწვევა ხდება საჭიროებისამებრ.
- კითხვარის შემუშავებაში მონაწილეობენ დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირები შესაბამისი მიმართულების მიხედვით, ისე რომ, მაქსიმალურად იქნას არიდებული ინტერესთა კონფლიქტი. გამოკვლევა რეალურად მიმდინარე და მოდულებით გათვალისწინებული სასწავლო პროცესების თანხვედრის დადგენის მიზნით განხორციელდება გამოკითხვა პროცესში ჩართული პირების.

სტუდენტთა ონლიან გამოკითხვის ჩატარება სასწავლო პროცესისა და საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო კურსების განხორციელების ხარისხის დადგენის მიზნით. სტუდენტთა ონლიან გამოკითხვის ჩატარება პროფესიულ მასწავლებელთა მიერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სასწავლო პროცესის წარმართვის ხარისხის, მათი პედაგოგიური უნარ-ჩვევების, შესაბამის დარგში არსებული სიახლეების ფლობისა და სტუდენტებისთვის მათი მიწოდების გამოკვლევის მიზნით; საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდის შემოწმება და მოდულებში ძირითადი ლიტერატურის შესაბამისობის დადგენა. არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შესწავლა, სასწავლო პროცესის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების არსებობის დადგენა, მათი შემოწმება შესაბამისი მდგომარეობისა და მისი შესაბამისობის დადგენის მიზნით საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკასთან.

შეამოწმე - გამართული მუშაობის მიზნით სასწავლებელის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებიდან აუცილებელი ინფორმაციის მიღების უზრუნველყოფა და მონიტორინგის ჯგუფის მუშაობის კონტროლი სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ხდება შემოწმება შემდეგი მიმართულებებით: საგანმანათლებლო პროგრამები, საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული მოდულების კომპონენტები, სწავლის/სწავლების პროცესის მიმდინარეობა და ხარისხი; პერსონალი; მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესში და სხვა. განავითარე - ხდება მიღებული შედეგების/მონაცემების ანალიზი, დასკვნების გამოტანა, რეკომენდაციების შემუშავება და გასატარებელი ღონისძიებების დაგეგმა და განსაზღვრა. ხარვეზების და სტანდარტებთან შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში აუცილებელია სამოქმედო გეგმის შემუშავება და ჩატარება.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დეტალების დაზუსტების მიზნით, განხორციელდა დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან გასაუბრება, რომელმაც აღნიშნა, რომ პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა გამოკითხვების ანალიზის, ასევე შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების(სტუდენტი, მასწავლებელი,პროგრამის ხელმძღვანელი, კურსდამთავრებული) კვლევის ანალიზზე ხორციელდება კოლეჯში პროგრამების შეფასება, ხოლო იმ პროგრამების ფარგლებში სადაც ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ინტერესთა კონფლიქტი იკვეთება, შპს საქართველოს უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმის თანახმად, უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის თანამშრომლები განახორციელებენ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გათვალისწინებით შესაბამის ღონისძიებებს, მემორანდუმში აღნიშნიშნულთან დაკავშირებით სხვა დამაზუსტებელი ჩანაწერი არ ფიქსირდება. აღნიშნულ კოლეჯში გარდა „ ღონისძიების ორგანიზების“ პროგრამის დამატების წარმოებისა, პარალელურად მიმდინარეობს „საოფისე საქმის“ და „პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგის“ პროგრამების დამატების საქმისწარმოება, ორი ხელმძღვანელის პოზიციაზე დანიშნულია პირი, რომელიც ამავდროულად არის კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ გარდა პროგრამის ხელმძღვანელობისა, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ამ ორი პროგრამის 12 მოდულის განმახორციელებელ პირად არის წარმოდგენილი. ადმინისტრაციის წარმომადგენელს, სათანადო კვალიფიკაციის არსებობის შემთხვევაში აქვს სასწავლო პროცესის განხორციელების უფლებაც, სასწავლო დატვირთვის შესაძლო მოცულობა უნდა იყოს განსაზღვრული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

და დარეგულირებული დაწესებულების მარეგულირებელი დოკუმენტებით. მაგ: შესაძლოა, გაწერილი იყოს შინაგანაწესში, რომ ადმინისტრაციული პოზიციის პარალელურად შეუძლია კვირაში გარკვეული საათის გამოყენება სასწავლო დატვირთვისთვის. ექსპერტები გაესაუბრნენ ასევე შპს საქართველოს უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის თანამშრომლებს, რომლებმაც დაადასტურეს მემორანდუმით გათვალისწინებული ვალდებულებები და აღნიშნეს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის უფლება-მოვალეობებს , იმ ორი პროგრამის ფარგლებში, ინტერესთა კონფლიქტის გათვალისწინებით განახორციელებენ თვითონ. ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით დაწესებულებამ წარმოადგინა სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და აკადემიური საბჭოს 2021 წლის სამი ივნისის 10/21 ოქმი, რომელშიც დაფიქსირებულია შემდეგი : დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით მოისმინეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერის მოხსენება, რომელმაც აღნიშნა, რომ ექსპერტთა მიერ შემოთავაზებული რეკომენდაციების გათვალისწინების საფუძველზე შემუშავდა შესაბამისობის გეგმა, რომელიც წარმოდგენილია დანართის სახით. ასევე 2021 წლის 4 ივლისის ოქმი N11/21, რომელშიც ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი არის ინიცირებით შესაბამისობის გეგმის ცვლილებების დამტკიცებაზე, რაც შეეხება შესაბამისობის გეგმის შინაარსს, პროგრამების ფარგლებში დაფიქსირებული რეკომენდაციების შესრულებაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელი და ხარისხის მართვის მენეჯერი, ხოლო სხვა ჩართულ მხარედ საქართველოს უნივერსიტეტი.

დაწესებულებაში მიმდინარე ერთ-ერთი მთავარი პროცესი არის საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის მართვა, რომელიც თავის თავში აერთიანებს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების კომპონენტსაც, თუ ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერმა განახორციელა ცვლილებების ინიცირება და შემსრულებელი/პასუხისმგებელი პირიც თვითონ არის, ბუნდოვანია შპს საქართველოს უნივერსიტეტის შესაბამისი სამსახურის როლი და პასუხისმგებლობა აღნიშნულ საკითხებთან, ამასთანავე მეოთხე სტანდარტის, 4.1. პერსონალის და პროცესების მართვა - ქვესტანდარტის, მესამე ინდიკატორის მოთხოვნების გათვალისწინებით - ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს მის მიერვე შესრულებული სამუშაოს შემოწმების და შეფასებისას ლოგიკურია, ინტერესთა კონფლიქტი ექმნება. ის ვერ იქნება ობიექტური შემფასებელი, რაც შეუსაბამობაში მოდის ხარისხის უზრუნველყოფის ახალი კონცეფციასთან. რადგან ინტერესთა კონფლიქტია ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ვერ შეასრულებს ობიექტურად შეფასებას, ამასთან შეფასების მექანიზმი და რეალური გარემოებები არის ერთმანეთთან წინააღმდეგობაში და არ ითვალისწინებს უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან(ვინაიდან პროგრამის ხელმძღვანელი და მოდულების განმახორციელებელი პირი არის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი) საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ. აღნიშნულის გათვალისწინებით აუცილებელია დაწესებულებამ უზრუნველყოს ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2. **ამდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**

კოლეჯს შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების (მოდიფიცირება) შეტანის და გაუქმების მექანიზმები, ასევე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელთა ანალიზის და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ინტერვიურებით დგინდება, რომ ჩატარებული გამოკითხვებისა და მეცადინეობებზე დასწრების მასალების ანალიზის საფუძველზე, ხდება მიღებული შედეგების/მონაცემების ანალიზი, დასკვნების გამოტანა, რეკომენდაციების შემუშავება და გასატარებელი ღონისძიებების დაგეგმა და განსაზღვრა, ხარვეზების და სტანდარტებთან შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში ხორციელდება სამოქმედო გეგმის შემუშავება და ცვლილებების შეტანა საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში კოლეჯის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების დაცვით, კერძოდ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შემთხვევაში პროგრამის ხელმძღვანელი პირის მიერ ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს წარედგინება ცვლილების განხორციელების დასაბუთება; ხარისხის უზრუნველყოფისა და სასწავლო პროცესის მენეჯერი განიხილავს აღნიშნულ ცვლილებას და ხარვეზის არსებობის შემთხვევაში, უბრუნებს წარმდგენს. ხარისხის უზრუნველყოფისა და სასწავლო პროცესის მენეჯერის მიერ დადებითი დასკვნის შემთხვევაში, ცვლილების პროექტი წარედგინება აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად. დაწესებულება **გაანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში გახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;
- საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება;
- საქართველოს უნივერსიტეტთან 2021 წლის 1 მარტს გაფორმებული მემორანდუმი;
- ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☐ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☒ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

2. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
3. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
4. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
5. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
6. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
7. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს „ღონისძიების ორგანიზების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას. სასწავლო კურსების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობები.

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შემუშავებული მეთოდოლოგიების და ადმინისტრაციასთან გასაუბრების შედეგების შეფასებით ექსპერტთა მოსაზრებით დაწესებულება სასწავლო პროცესის ორგანიზებისას გაითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებს და მოქნილად განახორციელებს რეაგირებას შემხვედრ საჭიროებებზე; კოლეჯის სასწალო პროცესის ადმინისტრირების სამსახური, პროგრამის ხელმძღვანელთან, საფინანსო სამსახურთან და სხვა ჩართულ პირებთან ერთად ვალდებულია იზრუნოს სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებაზე, სტუდენტებს საშუალება ექნებათ ნებისმიერი საჭირობის შესახებ შესაბამის სამსახურს მიმართონ შიდა სისტემის მეშვეობით და მათგან უკუკავშირსაც მიიღებს ამავე გზით. პრფესიული სტუდენტი აღნიშნულის შესახებ დეტალურ ინფორმაციას და ტრეინინგს მიიღებს საორიენტაციო დღეებიდან. სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახური განახორციელებს კოორდინაციას ფინანსურ და ტექნიკურ საკითებთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაში. დაწესებულება გეგმავს სასწავლო გრაფიკი შეადგინოს სტუდენტთა მოსაზრებების გათვალისწინებით, ასევე საჭიროებისამებრ განახორციელოს შესაძლებლობების გათვალისწინებით დისტანციური სწავლება.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას; ამისათვის პროგრამით განსაზღვრულ მოდულებში მითითებულია სწავლების თანამედროვე მეთოდები, არსებობს შესაბამისი დარგის ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასწავლო გარემო, შიდა ონლაინ სისტემა, რომელიც მორგებულია სტუდენტებისათვის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებაზე, აღნიშნულის გამოყენებით სტუდენტებს გამარტივებული ექნებათ კომუნიკაცია კოლეჯის ადმინისტრაციასთან, მათ შეეძლებათ ერთ სივრცეში დაწერონ განცხადება, მიიღონ მათთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, ნახონ შეფასებები, აკონტროლონ გამოცდების და სასწავლო ცხრილები, მიიღონ კოლეჯისათვის საჭირო ინფორმაცია და ა.შ.

4. **პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;**

პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნება პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე კოლეჯში შემუშავებულია მექანიზმი, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის აუცილებლობა წარმოიშობა შემდეგი გარემოებების არსებობისას: სსსმ პირი სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამზე, მაგრამ ვერ აღწევს სწავლის შედეგებს; პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მობილობით გადმოსულია პირი, რომელსაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი შეჩერებული ჰქონდა ერთ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

თერეთ მეცხრეს და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას; უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება ერთხელ; დამატებითი შეფასების შესახებ პროფესიული სტუდენტის განცხადება მიიღება შეფასების გამოქვეყნებიდან მეორე დღეს, ხოლო დამატებითი შეფასება სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ ინიშნება 3 დღის ვადაში.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

პროგრამის პრაქტიკული პროექტების მოდულების განხორციელების მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემონარდუმი შპს "საქართველოს უნივერსიტეტთან". მემორანდუმი მოქმედია უვადოდ. დისტანციური ვიზიტის ფარგლებში პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელთან განხორციელდა გასაუბრება პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელმა განაცხადა თანხმობა მიიღოს 15 პროფესიულ სტუდენტზე მეტიც, თუ იქნება ამის საჭიროება, ასევე აღნიშნა, რომ კვალიფიციური კადრების მომზადება მნიშვნელოვანესია და მზაობა აქვთ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში აქტიურად ჩაერთონ, მათი შემდგომი დასაქმების მიზნით. დაწესებულების და უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ორი მოდულის სწავლის შედეგების სრულად მიღწევას თავის ბაზაზე(პრაქტიკული პროექტი - სპორტულ/სანახაობრივი ღონისძიებების დაგეგმვა, პრაქტიკული პროექტი - ოფიციალური/საქმიანი შეხვედრების ადმინისტრირება) და ერთი მოდულის სწავლის შედეგების ნაწილობრივ მიღწევას (პრაქტიკული პროექტი - სადღესასწაულო ღონისძიებების ადმინისტრირება), აღნიშნული მოდულის სწავლის შედეგების გათვალისწინებით, ღონისძიების ერთ -ერთ სახეს წარმოადგენს „ქორწილების დაგეგმა", დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ მიმდინარეობს შესაბამის ორგანიზაციასთან მოლაპარაკება და განხორციელდება შესაბამისი მემორანდუმის გაფორმება.

დაწესებულებამ დისტანციური ჩართვის შემდეგ წარმოადგინა აკადემიური საბჭოს მიერ 2021 წლის 4 ივნისის N11/21 ოქმით დამტკიცებული სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, გეგმით გათვალისწინებულია ზ/აღნიშნული ნაწილის სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანა არაუგვიანეს 2021 წლის 1 აგვისტოს.

დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია გადახედოს სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმას, დააზუსტოს შემდეგი დეტალები: იდენტიფიცირებული არასრული შესაბამობის აღწერა, სტანდარტისა და კომპონენტის ნომერი, შემსრულებელი, ასევე განსაზღვროს ფინანსური და მატერიალური რესურსები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის განხორციელების სპეციფიკა არ მოითხოვს განსაკუთრებულ უსაფრთხოების ნორმების დაცვას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო გეგმა;
- აკადემიური საბჭოს 2021 წლის 3 ივლისის 10/21 ოქმით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა(ცვლილებები განხორციელებულია 2021 წლის 4 ივლისის N11/21 ოქმით);
- პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან შპს საქართველოს უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმები ;
- ინდ. სასწავლო გეგმების შედგენის მეთოდოლოგია;
- დაწესებულებაში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ფაქტობრივი მდგომარეობა (დათვალიერება ადგილზე);
- საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება;
- გასაუბრების შედეგები;
- დათვალიერების შედეგები;
- ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;**

დაწესებულებას დამტკიცებული აქვს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება, რომელშიც გაწერილია შეფასებასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები: აპელაციის წესი, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა და წესი, მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესი. განმეორებით შეფასებასთან დაკავშირებით განსაზღვრულია რა ვადებში ეძლევა სტუდენტს განმეორებით გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობა და რამდენჯერ, განმეორებითი შეფასების ადმინისრტირების საკითხები, სტუდენტთა ინფირმირება სწავლის შეფასების შედეგებზე, ხოლო სწავლის შედეგების შეფასების ვერიფიკაციის მექნიზმები მოიცავს ჩანაწერებს შეფასების ინსტრუმენტების შიდა მონიტორინგის მექანიზმების/ვერიფიკაციის შესახებ, **იმისათვის რომ შეფასების სისტემა აკმაყოფილებდეს ამ კრიტერიუმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, იყოს სანდო, ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური და სამართლიანი აღნიშნული რეგულაციები უნდა ფარავდეს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა: შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის პროცედურა, შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებული მოთხოვნები, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურები, შეფასების ადმინისტრირების საკითხები. სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია გადახედოს შეფასების სისტემის მარეგულირებელ წესებს და უზრუნველყოს შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის პროცედურის, შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებული მოთხოვნების, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურების, შეფასების ადმინისტრირების საკითხების გაწერა.**

2. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს, ვერიფიკაცია ეს არის შეფასების სისტემა, რომელიც ადასტურებს, რომ დაწესებულებაში სწავლის შედეგების შეფასების პროცესი არის სანდო, გამჭირვალე და სამართლიანი. შიდა ვერიფიკაციის ჯგუფის ძირითადი ამოცანებია: მოხდეს შიდა შეფასების ჩატარება, კითხვარების შეგროვება და შეგროვებული მონაცემების ანალიზი, შემფასებლის კონსულტირება შეფასების პროცედურასთან დაკაშვირებით, პროფესიულ სტუდენტთან მიღწევების ანალიზი, შეფასების ინსტრუმენტის ვალიდურობისა და საიმედოობის შემოწმება. შიდა ვერიფიკაციის გეგმა არის მუდმივად ცვლადი და ის შეიძლება შეიცვალოს საჭიროების მიხედვით, რომელსაც ადგენს პროცესის ხელმძღვანელი და მოდულის მასწავლებელი. აღნიშნული გეგმა ანგარიშის სახით წარედგინება კოლეჯის დირექტორს. შიდა ვერიფიკაციის შეფასებისათვის არსებობს ფორმა, რომელიც ივსება შიდა ვერიფიკატორის (პროცესის ხელმძღვანელის) მიერ. ვერიფიკაციის ჯგუფი შესაძლოა დაკომპლექტებული იყოს: კოლეჯის დირექტორი, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, პროგრამის ხელმძღვანელი ან/და პროფესიული მოდულის მასწავლებელი და საჭიროების შემთხვევაში სხვა პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირი. შიდა ვერიფიკაცია შეიძლება ჩატარდეს ყველა მოდულის დასრულების შემდეგ. აღნიშნული პროცედურა მიზნას ისახავს შეფასების ხარისხის გაუმჯობესებას, რომელიც ეხმარება კოლეჯის ადმინისტრაციას აღმოფხვრას ყველა ხარვეზი, რომელიც შეიძლება ვერიფიკაციის დროს გამოიკვეთოს. მოდულ(ებ)ის შემოწმების შერჩევა ხდება შემთხვევითი შერჩევის გზით, შესაბამისად, შემოწმებას ექვემდებარება გარკვეული სტუდენტების მიერ განხორციელებული აქტივობები; შერჩევა ხდება საკმარისი რაოდენობის ნიმუშების იმისათვის, რომ თითოეული მოდულის ფარგლებში დადგინდეს, თუ რამდენად თანმდიმდევრულად ხდება შეფასება და რამდენად იცავს მასწავლებელი კოლეჯის მიერ დადგენილ სტანდარტებს. შერჩეულ უნდა იყოს სტუდენტების არანაკლებ 25% (თუ პროფესიული სტუდენტების საერთო რაოდენობა 20-ზე ნაკლებია, მაშინ შემოწმებას ექვემდებარება ყველ პროფესიული სტუდენტი), სადაც აუცილებლად დაცული უნდა იყოს გენდერული თანასწორობა, ასევე აღნიშნულ პროცენტულობაში მოიაზრება სპეციალური საჭიროების მქონე პირები და ის პროფესიული სტუდენტები, რომლებსაც ვერ მიენიჭათ კვალიფიკაცია. შიდა ვერიფიკაციის გეგმა ინახება კოლეჯის ადმინისტრაციის მიერ 3 წლის განმავლობაში. დასკვნა უნდა იყოს ნათელი და სრულყოფილი, სადაც ზუსტად უნდა იკვეთებოდეს ის პროცესები და საჭირობები, რომლებიც მნიშვნელოვანია კოლეჯის შეფასების სისტემის გამართულად ფუნქციონირებისათვის. ვერიფიკაციის შედეგად განსაზღვრული ცვლილებები თანხმდება კოლეჯის დირექტორთან. კოლეჯის დირექტორის ვიზირების (მოიაზრება წარმოდგენილ გეგმაზე კოლეჯის დირექტორის მიერ ხელმოწერა) შემდეგ ხდება მისი განხორციელება. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერმა გასაუბრებისას აღნიშნა, იგეგმება შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის ვერიფიკაცია და შედეგების გათვალისწინებით განხორციელდება მექანიზმების სრულყოფა და გაუმჯობესება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შემდგომი გაუმჯობესების მიზნით დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია გადახედოს ვერიფიკაციის მექანიზმს და უფრო დეტალურად გაწეროს შემდეგი საკითხები: ვერიფიკაციის პროცესის აღწერა, დასკვნის განხილვის და დაინტერესებული პირების ინფორმირების გზები, სამოქმედო გეგმის შედგენის და შემდეგი რეაგირების მექანიზმები.

3.პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

დაწესებულება გეგმავს პროფესიული სტუდენტის შეფასება განახორციელოს ელექტრონულად, კოლეჯის შიდა ელექტრონულ სისტემაში მზადდება ბაზები, რომელშიც განთავსდება პროფესიული განათლების სპეციფიკის გათვალისწინებით შეფასების ინსტრუმენტები, პროფესიული მასწავლებლის მიერ განხორციელებული შეფასებაც განთავსდება ელექტრონულ სისტემაში, სტუდენტის საბოლოო შეფასებაც ასევე განხორციელდება ელექტრონულად, აღნიშნული პროცედურის დაცვაზე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახური. დაწესებულების საგანმანათლენლო საქმიანობის მარეგულირებელ დებულებაში გაწერილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვის უზრუნველყოფა და შენახვა შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით ელექტრონულად;

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დაწესებულების საგანმანათლენლო საქმიანობის მარეგულირებელ დებულებით და აღნიშნულ ღონისძიებებზე პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ პროფესიული სტუდენტი ყველა შეფასების შემდეგ მიიღებს უკუკავშირს პროფესიული მასწავლებლისაგან. შესაბამისად მას ექნება საშუალება, რომ მიღებული უკუკავშირი გამოიყენოს შემდეგომი განვითარებისათვის. პროგრამა ისეა აწყობილი, რომ ყველა შედეგის შეფასება გამოყენებული იქნება სტუდენტის შემდგომი განვითარების გამოყენებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სწავლის შედეგების შეფასების ვერიფიკაციის მექნიზმები;
- სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი, რომელიც ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის;
- კვალიფიკაციის მინიჭებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;
- გასაჩივრების დამტკიცებული პროცედურები;
- გასაუბრების შედეგები;
- დათვალიერების შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შეფასება:

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☒ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. გასაუბრების განრიგი

8.07.2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: